ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

 790 20-33-05

5.. §.-§“-“§

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №311

24 ოქტომბერი 2013 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 სექტემბრის N50 განკარგულებისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის N32 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვისა და ქონებით სარგებლობის წესის მე-5 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მუნიციპლიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით გამოტანილი იქნას საჯარო აუქციონზე შემდეგი უძრავი ქონება:

   ა) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ.ზემო სურებში მდებარე 200 $მ^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი-28.20.11.011);

   ბ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ბუკნარში მდებარე საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე არსებული 44,3 $მ^2$ ფართი მიწის ნაკვეთი (მიწის, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი-28.08.21.037).
2. დამტკიცდეს აუქციონის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართის შესაბამისად.
3. აუქციონის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნას გაზეთ „24 საათში“ და ადგილობრივ პრესაში.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ობურ გეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე – ჭავჭავაძის ქუ 3 §ყ
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავეყ

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია:

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე

№	ობიექტის დასახელება	მისამართი	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ.)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)	,,ბე" (ლარი) 30%	,,ბიჯი" (ლარი) 10 %	მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი)	მიწის (უძრავ ქონების) საკადასტრო კოდი
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ჩოხატაური, სოფ. ზემოსურები	200	720	216	72	20	28.20.11.011
2	საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე არსებული 44.30 კვ.მ. ფართი	ჩოხატაური, სოფ. ბუკნარი	–	700	210	70	20	28.08.21.037

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღის ჩათვლით, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10

საათიდან 17 საათამდე (აუქციონის ჩატარების დღეს 10:00 საათიდან 13.00 საათამდე) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, სააუქციონო კომისიაში (წერეთლის ქ. N-2).

აუქციონში მონაწილეობის მსურველი აუქციონის ორგანიზატორს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებულ განაცხადს;
2. ,,ბე'-ს და მონაწილის ბილეთის თანხის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტებს;
3. ფიზიკური პირები - პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, ხოლო იურიდიული პირები ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.
4. ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
5. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური თანხის გადახდა.

აუქციონში გამარჯვებულმა საბოლოო თანხა უნდა დაფაროს აუქციონის ჩატარების დღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად დათქმულ ვადაში, უქმდება აუქციონის შედეგები და მის მიერ შეტანილი ,,ბე" უკან არ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში დამარცხებულს ,,ბე" უკან უბრუნდება.

,,ბე" შეტანილი უნდა იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ანგარიშზე:

ბანკის კოდი LBRGE22, ანგარიშის ნომერი GE11LB0120133210302000, საიდენტიფიკაციო კოდი 242008705;

აუქციონის მონაწილის ბილეთის თანხა შეტანილი უნდა იქნეს ანგარიშზე: 300653282;

საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამამზადებელ პირებთან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ღირებულებას დამატებით იხდის აუქციონში გამარჯვებული პირი.

მსურველებს უფლება აქვთ ადგილზე გაეცნონ გასაყიდი ქონების მდგომარეობას.

აუქციონი ჩატარდება 2013 წლის 8 ნოემბერს 15.00 საათზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სააუქციონო კომისიას მისამართზე: დ. ჩოხატაური, წერეთლის ქ. N-2, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა ტელ: **577 953118; 577 957030; 577 954390.**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა